ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კომისიის თავმჯდომარე: კონსტანტინე გელაშვილი
კომისიის წევრი: ეკატერინე გეწაძე
კომისიის წევრი: ეკატერინე მაჭარაშვილი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.02.2022
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 004/22

I შეკითხვა:
დავუშვათ, რომ საადვოკატო ბიუროს და კლიენტ შორის დაიდო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების საფუძველზე საადვოკატო ფირმის ერთ-ერთმა ადვოკატმა („კლიენტის ადვოკატი“) დაიწყო კლიენტის საქმეზე მუშაობა. საქმე, რომლის გამოც კლიენტს ესაჭიროებოდა ადვოკატის მომსახურება, უკვე დაწყებული იყო სასამართლოში, ხელშეკრულების დადებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე.
კლიენტის სამოქალაქო დავაში მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) ინტერესებს სასამართლოში იცავს ასევე ადვოკატი.
კლიენტის ადვოკატის საქმეში ჩართვამდე რამდენიმე თვით ადრე კლიენტმა საჩივრით მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეს საჩივარი განიხილა დისციპლინურმა კოლეგიამ, რომლის ერთ-ერთი წევრიც იყო საადვოკატო ფირმის ერთ-ერთი პარტნიორი და ასევე ერთ-ერთი დირექტორი, რომელიც ეწევა საადვოკატო პრაქტიკას. კოლეგიის გადაწყვეტილებით მომჩივანს (კლიენტს) უარი ეთქვა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე.
საადვოკატო ფირმის დირექტორს პირადად არასდროს უწარმოებია კლიენტის საქმე, არ გაუწევია კლიენტისთვის მომსახურება. მას, თავისი განხილული საქმის თაობაზე ინფორმაცია არ გაუმჟღავნებია მესამე პირებისთვის, მათ შორის კლიენტის ადვოკატისთვის, რადგან დისციპლინური საქმისწარმოება დახურულია.
იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხის ადვოკატი მოითხოვს, რომ საადვოკატო ბიუროს ნებისმიერმა ადვოკატმა შეწყვიტოს კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევა, რადგან მან დისციპლინური ბრალდებიდან საკუთარი თავის დაცვის პროცესში კონფიდენციალური ინფორმაცია

გაუმჟღავნა საადვოკატო ბიუროს დირექტორს, წარმოიშობა თუ არა ე.წ. გავრცელებული ინტერესთა კონფლიქტი საადვოკატო ბიუროს ყველა ადვოკატისთვის, რის შედეგად ხომ არ უნდა შეწყვიტოს კლიენტის წარმომადგენლობა კლიენტის ადვოკატმა?

II ანალიზი:

შეკითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულების დაცვის ერთ-ერთი შემთხვევის გათვალისწინებით. კერძოდ, ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატთა პროფესიული რეგულაციით არსებობს იმ შემთხვევაშიც, თუ:

> კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.2(ბ)).

საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებამდე ადვოკატმა ყოველთვის უნდა ეცადოს მიიღოს პრევენციული ზომები, იმისათვის რომ აირიდოს თავიდან ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, რომელიც სხვადასხვა სახისაა. შესაძლებელია, კონფლიქტი არსებულ კლიენტებს შორის წარმოიშვას ყოფილ კლიენტსა და ამჟამინდელ/პოტენციურ კლიენტს შორის ან ადვოკატს თავად ჰქონდეს პირადი ინტერესთა დაპირისპირება კლიენტთან. აგრეთვე, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კონფლიქტი გამომდინარეობს ადვოკატის მიერ მასთან დაკავშირებული პირის ინტრესებიდან.

კომისიამ ერთ-ერთი რეკომენდაციის ფარგლებში იმსჯელა ადვოკატის მიერ ახლო მეგობრის წინააღმდეგ კლიენტის წარმომადგენლობა იქნებოდა თუ არა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა. კერძოდ, ახლო ბეგობარი იყო თუ არა ეთიკური სტანდარტით განსაზღვრული ის დაკავშირებული პირი, რომლის მიმართ საქმისწარმოება შეიძლება ყოფილიყო არაეთიკური. კომისიამ მიუთითა, რომ ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობაა, ასეთი შემთხვევის დროს შეაფასოს ზემოაღნიშნული ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო შემთხვევა და „საქმის გარემოებიდან გამომდინარე განსაზღვროს ის რისკები და ასევე, პერსპექტივაშიც გამორიცხოს მისი დაცვის ქვეშ მყოფი კლიენტის ეჭვის წარმოშობა ადვოკატის მიუკერძოებლობაში, რაც ინტერესთა კონფლიქტს ან მისი წარმოშობის საფრთხეს უკავშირდება, მათ შორის ადვოკატმა თავად უნდა განსაზღვროს გავლენას მოახდენს თუ არა მის პროფესიულ საქმიანობაზე მეგობრის წინააღმდეგ წარმომადგენლობის განხორციელება და რამდენად შეექმნება საფრთხე მისი კლიენტის ინტერესებს (წერილობით რეკომენდაცია 012/18).

კომისიის ერთ-ერთი რეკომენდაცია აგრეთვე შეეხო ადვოკატის პირადი ინტერესის და დაკავშირებული პირის არსებობიდან წარმოშობილ ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას. კერძოდ, საადვოკატო მომსახურების განხორციელებაზე გავლენის მომხდენ პირად შეფასდა ადვოკატის ძმა, რის გამოც საფრთხე შეექმნა არსებული კლიენტის ინტერესების დაცვას. კომისიამ აგრეთვე იმსჯელა ასეთი ინტერესთა კონფლიქტის პირობებში ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის ხარისხზე, რაც „ასახვას ჰპოვებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატის ობიექტურობასა და მისი დამოუკიდებლობის ხარისხზე. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, ადვოკატმა ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ქცევის წესებით გათვალისწინებული დამოუკიდებლობის პრინციპი“ (წერილობითი რეკომენდაცია 009/18).

წარმოდგენილი ჰიპოთეტური ფაქტებიდან ირკვევა, რომ საადვოკატო ბიუროს ადვოკატის მიერ **კლიენტის** (პირობითად „გ“-ს) საქმის დაწყებამდე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში „გ“-მ წარადგინა საჩივარი მისი მოდავე მხარის ადვოკატის მიმართ. ირკვევა, რომ დისციპლინური საქმის განხილვაში, როგორც კომისიის წევრის სტატუსით ჩართული იყო საადვოკატო ბიუროს ერთ-ერთი პარტნიორი და ერთ-ერთი დირექტორი, ამასთან, ის არის პრაქტიკოსი ადვოკატი. წარმოდგენილი ფაქტებიდან არ ირკვევა დისციპლინური საქმისწარმოების დასრულების შემდგომ მიმართა „გ“-მ საადვოკატო ბიუროს, თუ კომისიაში საქმის განხილვის პროცესისას, რადგან ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, დამატებით გვემსჯელა იმ საფრთხეებზე, რაც შეიძლება გავლენის მომხდენი ყოფილიყო ბიუროს კლიენტის ინტერესებზე.

საადვოკატო ბიუროს მიერ ეთიკური სტანდარტების დაცვაზე პროფესიული პასუხისმგებლობა აკისრია იქ დასაქმებულ ყველა ადვოკატს. შესაფასებელია, რამდენად არის სახეზე ინტერესთა კონფლიქტის ის შემთხვევა, რაც შეიძლება მომდინარეობდეს იურიდიული ფირმის ადვოკატის, როგორც კომისიის წევრის მიერ მისი კლიენტის მოდავე მხარის ადვოკატის დისციპლინური საქმის განხილვისას. შესაბამისად, უნდა განისაზღვროს ბიუროს ხელმძღვანელი და ამავდროულად, შეკითხვაში მითითებული დისციპლინური საქმის განმხილველი ადვოკატი არის თუ არა ეთიკური სტანდარტით განსაზღვრული ის დაკავშირებული პირი, რომელმაც არსებული ბიუროს ადვოკატის მიერ კლიენტის წარმომადგენლობაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს.

ბიუროს პარტნიორობა და ამავდროულად, მისი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება ფირმის დირექტორს ბუნებრივია აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ჰქონდეს სრული ინფორმაცია ბიუროსადმი მიმმართველ პირებზე და მათ საქმეზე. ივარაუდება, რომ ფირმაში არსებული საქმის განაწილების შესაბამისად, კლიენტ „გ“-ს საქმისწარმოებაზე პასუხისმგებლობა აიღო ბიუროს ერთ-ერთმა ადვოკატმა. შესაძლებელია, საქმეში ჩართულიყო უშუალოდ ბიუროს ხელმძღვანელიც, როგორც მისი ადვოკატი ან სამომავლოდ მოხდეს მისი ჩართვის საჭიროება. შესაბამისად, საადვოკატო ბიუროს ორგანიზაციული საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე ამ ბიუროში მომუშავე ადვოკატის კლიენტი აღიქმება, როგორც ამ ბიუროს კლიენტად და ერთ საადვოკატო ბიუროს მიერ დაპირისპირებული ინტერესის მქონე პირების წარმოდგენის დაუშვებლობის არსიც აქედან მომდინარეობს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ბიუროს კლიენტის საქმის განხილვისას ინტერესთა კონფლიქტი არ განიმარტოს ვიწროდ და მხოლოდ აპეკ-ის 6.3-ის ფარგლებში.

ის გარემოება, რომ კომისიის წევრს, თავისი სტატუსი ავალდებულებს დაიცვას დისციპლინური საქმისწარმოების კონფიდენციალობა, არ ამცირებს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის ან მისი საფრთხის რისკს, რაც არსებობს ზემოაღნიშნულ შემთხვევაში. კომისიის შეფასების საგანს არ წარმოადგენს კომისიის წევრის მიერ დისციპლინური საქმის კონფიდენციალობის დაცვა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს კომისიის წევრად დისციპლინური საქმის განხილვაში მონაწილეობა ახდენს თუ არა გავლენას ბიუროს კლიენტის საქმის წარმოებაზე. საადვოკატო ბიურო ვერ განიხილება, როგორც განცალკევებულ სუბიექტად და მისი დირექტორის და ამავდროულად, ადვოკატის კომისიის წევრად ზემოაღნიშნული საქმის მოდავე მხარის ადვოკატის საქმეში მონაწილეობა - დამოუკიდებლად. შესაძლოა, კომისიის წევრმა დაიცვა დისციპლინური საქმის კონფიდენციალობა, თუმცა ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე მაინც შეიქმნა. კომისიის წევრი მისი ბიუროს კლიენტისთვის წარმოადგენს საქმესთან დაკავშირებულ პირს, რადგან სწორედ მის მიერ დისციპლინური საქმის შინაარსი დაუკავშირდა ბიუროს კლიენტის საქმეს, მით უფრო

დისციპლინური საქმეზე მომჩივანი იყო ბიუროს კლიენტი, რომლის ინტერესს წარმოადგენდა საქმის მის სასარგებლოდ გადაწყვეტა, თუმცა მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გარემოებაც საფრთხეს უქმნის კომისიის წევრის იურიდიული ფირმის მიერ ამ კლიენტის საუკეთესო ინტერესების წარმოდგენას. კომისიის წევრმა გადაწყვეტილების მიღებით დისციპლინური საქმის განხილვის ფარგლებში შეაფასა შემდგომში მისი ბიუროს კლიენტის და ამავდროულად, მოდავე მხარის ადვოკატის პოზიციები. დისციპლინური საქმე კი ეხებოდა იმავე საქმეს რაზეც შემდგომში ბიუროს მიმართა „გ"-მ. ასეთ შემთხვევაში, საფრთხე ექმნება ბიუროს ადვოკატის მიერ „გ"-ს საქმის განხილვის ობიექტურობას და დამოიკიდებლობის ხარისხს.

III დასკვნა:

წარმოდგენილი ჰიპოთეტური ფაქტების შეფასების შედეგად, დასკვნის სახის შესაძლოა ითქვას, რომ ადვოკატის პროფესიის მაღალი ეთიკური სტანდარტის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია მაქსიმალურად იქნას თავიდან არიდებული ის შესაძლო რისკები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების წარმოდგენაზე. შედეგად, ზემოაღნიშნული მოცემულობა საფრთხეს უქმნის ბიუროს კლიენტის საუკეთესო ინტერესებს, რომელიც კომისიაში მისი საჩივრის განხილვას დაუპირისპირდა. ის გარემოებაც, რომ ფირმის დირექტორმა მისი საჩივარი განიხილა, როგორც კომისიის წევრმა და არ დააკმაყოფილა საჩივარი - აღნიშნული ფაქტორიც შესაძლოა, გავლენის მომხდენი იყოს არსებული კლიენტის ინტერესებზე და ბიუროს ადვოკატების მიერ არსებული საქმის პროფესიული დამოუკიდებლობის ხარისხზე.

შენიშვნა: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

წერილობით რეკომენდაციას თან ერთვის ეთიკის კომისიის წევრის ეკატერინე გეწაძის განსხვავებული აზრი.

კოლეგიის თავმჯდომარე /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი /ეკატერინე მაჭარაშვილი/

ეთიკის კომისიის წევრის
ეკატერინე გეწაძის განსხვავებული აზრი
ეთიკის კომისიის
2022 წლის 21 თებერვლის 004/22 წერილობით რეკომენდაციაზე,
რომელიც ეხება ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევის განსაზღვრას

გამოვხატავ რა ჩემს პატივისცემას ეთიკის კომისიის წევრებისა და ჩემი კოლეგებისადმი, არ ვიზიარებ სრულად მათ მიერ რეკომენდაციის ფარგლებში გამოთქმულ ცალკეულ მოსაზრებებს და განვითარებულ მსჯელობას.

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მოვახდინოთ იმის იდენტიფიცირება, თუ როდის წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი.

ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ (იხ. ეთიკის კომისიის 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე 15/10). კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებებთან.

მოცემულ ჰიპოთეტურ შეკითხვაში, უნდა მოვახდინოთ იმის იდენტიფიცირება იურიდიული კომპანიის ადვოკატებს და მათ შორის კლიენტის ადვოკატს, აქვთ თუ არა ინტერესთა კონფლიქტი და თუ კი, ვის მიმართ.

ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა, წარმოიშვას სხვადასხვა წყაროდან. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიქმნება ძირითადად სამ შემთხვევაში: ა) მესამე მხარის ჩარევისას, ბ) ადვოკატის და კლიენტის ინტერესების შეჯახებისას და გ) ერთი ადვოკატის რამდენიმე კლიენტს შორის დაპირისპირების არსებობისას.

ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები კონკრეტული კლიენტის მიმართ უპირისპირდება მესამე პირის ინტერესებს, რომელიც არ არის კლიენტი. მესამე პირში ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.2.(ბ) მუხლის მიზნებიდან გამომდინარე მოიაზრება ადვოკატის პოტენციური და ყოფილი კლიენტი.

ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის მითითებულ წყაროებს თუ დავეყრდნობით, ნათელია, რომ ბიუროს ადვოკატებს და მათ შორის კლიენტის ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტი არ გააჩნიათ უშუალოდ კლიენტის მიმართ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ უპირისპირდება ერთმანეთს კლიენტის ინტერესი და ბიუროს ადვოკატების ან კლიენტის ადვოკატის ინტერესი და არც ერთი ადვოკატის რამდენიმე კლიენტს შორის არსებობს დაპირისპირება, ხოლო ინტერესთა კონფლიქტი ბიუროს ადვოკატებს და კლიენტის ადვოკატს ვერ ექნებათ სხვა კოლეგის მიმართ, ვინაიდან ინტერესთა კონფლიქტის ზემოთმოყვანილი განმარტებიდან გამომდინარეობს ის, რომ კონფლიქტი მაშინ გვაქვს სახეზე, თუ ადვოკატის წარმომადგენლობის განხორციელებაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ.

ამ კონკრეტულ მაგალითში, კლიენტის ადვოკატს და ბიუროს არცერთ სხვა ადვოკატს რაიმე ინტერესი ან ვალდებულება არ გააჩნია კლიენტის მიმართ, რაც ინტერესთა კონფლიქტს შექმნიდა (მოახდენდა არსებით და უარყოფით გავლენას ადვოკატის მიერ კლიენტისათვის შეთავაზებული მომსახურების ხარისხზე), რაც შეეხება ინტერესს ან ვალდებულებას სხვა პირის (მოწინაღმდეგე მხარის ადვოკატის) მიმართ, აქ შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის, როგორც დისციპლინური საქმის წარმოების მხარის მიმართ იურიდიული ბიუროს დირექტორს, რომელიც თავადაც ეწევა საადვოკატო საქმიანობას და რომელმაც განიხილა ბიუროს კლიენტის საჩივარი, ნამდვილად გააჩნია ვალდებულება, რომ დაიცვას კონფიდენციალობა, რაც ნიშნავს იმას, რომ მას არ აქვს უფლება რომელიმე მესამე პირს, მათ შორის მისი ბიუროს სხვა ადვოკატებს გაანდოს დისციპლინური წარმოების ფარგლებში მის ხელთ არსებული ინფორმაცია, თუმცა შეკითხვაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან ჩანს, რომ მას ეს ვალდებულება არ დაურღვევია, შეკითხვის ავტორი ამ ფაქტს, როგორც მოცემულობას ისე გვთავაზობს, დირექტორს დისციპლინური სამართალწარმოების დროს მოპოვებული ინფორმაცია არ მიუწოდებია მისი ბიუროს არცერთი ადვოკატის, მათ შორის არც კლიენტის ადვოკატისათვის. საგულისხმო გარემოებაა ისიც, რომ მას პირადად არასდროს არ უწარმოებია კლიენტის საქმე და მისთვის იურიდიული მომსახურება არ გაუწევია. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება დისციპლინური საქმის წარმოების მონაწილე მხარეებთან მიმართებით გააჩნია ბიუროს დირექტორს და არა ბიუროს რომელიმე სხვა ადვოკატს. **გარდა ბიუროს დირექტორისა, ბიუროს არცერთ სხვა ადვოკატს, მათ შორის კლიენტის ადვოკატს არ გააჩნია რაიმე ისეთი ინტერესი ან ვალდებულება მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისადმი, რომელსაც შეუძლია მოახდინოს არსებითი და უარყოფითი გავლენა კლიენტისათვის შეთავაზებულ მომსახურებაზე.**

პროფესიული სტანდარტებით დაუშვებელია ერთ ბიუროში, ერთ ოფისში მომუშავე ადვოკატებმა მისცენ პროფესიული რჩევა ან გაუწიონ მომსახურება რამდენიმე კლიენტს ერთი და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზე, თუ ამ კლიენტებს შორის ინტერესეთა კონფლიქტი არსებობს ან მისი წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხეა და ამ შეზღუდვის მიზანს ადვოკატის პროფესიული საიდუმლოების დაცვა წარმოადგენს, თუმცა ამ შემთხვევაში, არ ირღვევა არც აღნიშნული პროფესიული სტანდარტი, რადგან ბიუროს ადვოკატები, მათ შორის ბიუროს დირექტორი, არ ახორციელებენ სხვადასხვა კლიენტის მომსახურებას.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ კოლეგიის მიერ მოწოდებული ჰიპოთეტური მაგალითიდან გამომდინარე, არ არსებობს რაიმე ისეთი ეთიკური ვალდებულება, რაც დაავალდებულებდა კლიენტის ადვოკატს, რომ მან კლიენტის მომსახურება შეწყვიტოს.

ეკატერინე გეწაძე

ეთიკის კომისიის წევრი